აფხაზეთის მთავრობის
დადგენილება N5
2008 წლის 29 აპრილი ქ.თბილისი

რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ"აფხაზეთის კანონის 16[1] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და "აფხაზეთის მთავრობაში რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის თანამდებობის შემოღების შესახებ" აფხაზეთის მთავრობის 2008 წლის 4 აპრილის N3 დადგენილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის თანდართული დებულება და საშტატო ნუსხა.
2. განისაზღვროს რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის რიცხოვნობა 16 ერთეულით. (შეტანილია ცვლილება აფხ. საკ. მაცნე N13, მუხლი 23, 30.09.2009)
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე *მალხაზ აკიშბაია*

რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის (შემდგომში _ აფხაზეთის მინისტრი) აპარატი (შემდგომში – აფხაზეთის მინისტრის აპარატი) იქმნება "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის კანონის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მართვის, წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობის, რეგიონული პოლიტიკის ეფექტური განხორციელების მიზნით. (აფხ. საკ. მაც.N2, 8.02.2010, მუხლი N3)
1. აფხაზეთის მინისტრის აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მინისტრის ბრძანებებით და ამ დებულებით.
1. აფხაზეთის მინისტრის აპარატს აქვს ბალანსი, მიმდინარე ანგარიში ხაზინაში და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი.

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობისთვის გამოყოფილ სახსრებს განკარგავს აფხაზეთის მინისტრი.

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის ადგილსამყოფელია ქ.თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა. (აფხ. საკ. მაც.N2, 8.02.2010, მუხლი N3)

მუხლი 2. ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით მინიჭებული უფლებამოსილების, აგრეთვე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფხაზეთის მინისტრის საქმიანობის განხორციელების მიზნით აფხაზეთის მინისტრის აპარატი:

ა) მართვას, კორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს: (აფხ. საკ. მაც.N2, 8.02.2010, მუხლი N3)

ა.ა) აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობას აღმოსავლეთ საქართველოში;

ა.ბ) აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობას იმერეთის რეგიონში;

ა.გ) აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში;

ბ) უზრუნველყოფს რეგიონული მართვის საკითხებზე აფხაზეთის მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;

გ) შეიმუშავებს წინადადებებს რეგიონული მმართველობითი სისტემის რეფორმების შესახებ;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს კანონებისა და აფხაზეთის მთავრობის სამართლებრივი აქტების შესრულების მონიტორინგს;

ე) უზრუნველყოფს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ინვესტიციების მოზიდვის მიზნით;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის კანონით დადგენილი უფლებების დაცვის ხელშეწყობას;

ზ) შეისწავლის უცხო სახელმწიფოთა გამოცდილებას რეგიონალური მართვის სფეროში და შეიმუშავებს წინადადებებს მათი დანერგვის თაობაზე;

თ) ახორციელებს სხვა ორგანიზაციულ, ანალიტიკურ და საკოორდინაციო საქმიანობას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აფხაზეთის მინისტრისათვის მიცემულ დავალებათა შესასრულებლად.

მუხლი 3. აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურა და შემადგენლობა (აფხ.საკ.მაცნე N13, მუხლი23, 30.09.2009)

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების მართვისა და კოორდინაციის სამსახური; (აფხ. საკ. მაც.N2, 8.02.2010, მუხლი N3)

ბ) საინფორმაციო_ანალიტიკური სამსახური.

2. ამ დებულებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად აპარატის სტრუქტურაში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

ა) აფხაზეთის მინისტრი;

ბ) აფხაზეთის მინისტრის მოადგილე;

გ) აფხაზეთის მინისტრის აპარატის უფროსი;

დ) სამსახურის უფროსი;
ე) სამსახურის უფროსის მოადგილე;
ვ) მთავარი ბუღალტერი;
ზ) აფხაზეთის მინისტრის თანაშემწე;
თ) აფხაზეთის მინისტრის მრჩეველი;
ი) ბუღალტერი
კ) მთავარი სპეციალისტი;
ლ) უფროსი სპეციალისტი.

მუხლი 3[1]. აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები: (აფხ.საკ.მაცნე N13,მუხლი 23, 30.09.2009)

1. აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების მართვისა და კოორდინაციის სამსახური: (აფხ. საკ. მაც.N2, 8.02.2010, მუხლი N3)

ა) აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებთან კოორდინაციითა და ერთობლივი მუშაობით ახდენს დევნილთა ძირითადი პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზს და შეიმუშავებს ამ პრობლემებისათვის საჭირო წინადადებებს, რომლებსაც წარუდგენს მინისტრს შემდგომი რეაგირებისათვის;

ბ)თანამშრომლობს ცენტრალური ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ სტრუქტურებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა ხელი შეუწყოს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის კანონით დადგენილი უფლებების დაცვას;

გ) აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებთან ერთად უზრუნველყოფს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო ინვესტიციის მოზიდვის მიზნით.

2. საინფორმაციო_ანალიტიკური სამსახური:

ა) ახორციელებს სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას, ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას და რეგიონებში შექმნილი კომისიების მუშაობაზე მონიტორინგს;

ბ) უზრუნველყოფს საპრეზიდენტო პროგრამა ,,ჩემი სახლის" ფარგლებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შიდა მიგრაციაზე ამომწურავი ინფორმაციის მოძიებას და მანაცემთა სრულ კომპიუტერიზაციას; (აფხ.საკ.მაცნე N13,მუხლი 23,30.09.2009)

მუხლი 4. ხელმძღვანელობა

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს აფხაზეთის მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე. (აფხ.საკ. მაცნე N13, მუხლი 23, 30.09.2009)

1. მინისტრს ჰყავს 2 (ორი) მოადგილე, რომელთაც აფხაზეთის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე. მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე. (აფხ. საკ. მაცნე N13, 30.09.2009)

1. აფხაზეთის მინისტრი: (აფხ. საკ. მაც.N2, 8.02.2010, მუხლი N3)

ა) მთავრობის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ბ) წარმომადგენლობის ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილეს;

გ) უფლებამოსილია მისცეს თანხმობა წარმომადგენლობის ხელმძღვანელს მთავრობაში წარადგინოს დებულება დასამტკიცებლად;

დ) უფლებამოსილია მისცეს თანხმობა წარმომადგენლობის ხელმძღვანელს განსაზღვროს საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, განკარგავს აპარატის ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს.

1. აფხაზეთის მინისტრის მოადგილე:

ა) მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;

ბ) აფხაზეთის მინისტრს წარუდგენს წინადადებებს მინისტრის აპარატის საქმიანობის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით;

გ) ასრულებს აფხაზეთის მინისტრის ცალკეულ დავალებებს;

დ) ანგარიშვალდებულია აფხაზეთის მინისტრის წინაშე.

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აფხაზეთის მინისტრის აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის მინისტრი.

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს აფხაზეთის მინისტრის აპარატს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;

გ) აფხაზეთის მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) აფხაზეთის მინისტრს წარუდგენს წინადადებებს აფხაზეთის მინისტრის აპარატის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათ მიმართ დისციპლინური სახდელების გამოყენების შესახებ;

ე) ასრულებს აფხაზეთის მინისტრის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 5. აფხაზეთის მინისტრის აპარატის თანამშრომლები

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მათთვის დაკისრებულ ამოცანათა შესრულებას.

2. აფხაზეთის მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებების შეტანა

დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აფხაზეთის მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 7. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

აფხაზეთის მინისტრის აპარატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის

საშტატო ნუსხა (აფხ.საკ.მაცნე N13,მუხლი 23, 30.09.2009)

	თანამდებობა	**რაოდენობა**
1	აფხაზეთის მინისტრი	1
2	აფხაზეთის მინისტრის მოადგილე	2
3	აფხაზეთის მინისტრის აპარატის უფროსი	1
4	სამსახურის უფროსი	2
5	სამსახურის უფროსის მოადგილე	1
6	მთავარი ბუღალტერი	1
7	აფხაზეთის მინისტრის თანაშემწე	1
8	აფხაზეთის მინისტრის მრჩეველი	1
9	ბუღალტერი	1
10	მთ. სპეციალისტი	2
11	უფროსი სპეციალისტი	3
	სულ	16